თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 7 მაისის
მორიგი სხდომის
ოქმი № 5

ქ. თერჯოლა 7 მაისი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ეკა ბერძენიშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემური ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაზე, 9.ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17.ტარიელ ფანჩულიძე, 18. როლანდი მესხი, 19. ივანე ჩუბინიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2. გოცა ვერულაშვილი, 3. კახა ბუცხრიკიძე, 4.რამინი რობაქიძე, 5.თამარი ახვლედიანი, 6. ფრიდონი გვენეტაძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე, 11. რუსუდან კოვზირიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 12 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელები.

„ა(ა)იპ დემოკრატიული სასწავლო ცენტის დირექტორი“ ალექსანდრე ბუცხრიკიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{50}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512183 წერილი, 01.05.2025 წ)

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282511372 წერილი, 23.04.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512182 წერილი, 01.05.2025 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

6. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №- 29. 292501511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512244 წერილი, 02.05.2025 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს (ს/კ231949381) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512237 წერილი, 02.05.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512596 წერილი, 05.05.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282512538 წერილი, 05.05.2025 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადაგენ ილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 600.0 ათასი ლარით და შეადგენს 34127.2 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 100.0 ათასი ლარით. გრანტი (ფინანსური დამხარება).
საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 400.0 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (ჯარიმები).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 600.0 ათასი ლარით. მ/შორის:
მერიის დაფინანსება გაიზარდა 250.0 ათასი ლარით.
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 90.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 140.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 90.0 ათასი ლარით.
კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 21.3 ათასი ლარით.
საგამომცემლო საქმიანობის ასიგნება გაიზარდა 3.1 ათასი ლარით.
სოციალური დაცვა გაიზარდა 5,6 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-17 , წინააღმდეგი-2

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება №10, 07/05/2025 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.
2025 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 119.0 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 109.0 ათას ლარს.
2025 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 4-ჯერ განხორციელდა. ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 31792.6 ათასი ლარით.
2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 8747.1 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 8347.5 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი აპრილისთვის ნაშთი დარჩა 399.6 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები - 305.1 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 94.5 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (განკარგულება № 29.29251276, 07/05/2025 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (ტრანსფერი გაიზარდა 1700.0 ათასი ლარით) განისაზღვრა 33792.6 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 33492.6 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ასიგნება(პროგრამული კოდი 02 01) გაიზარდა 1500.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 7880.0 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, კომუნალური მეურნეობის განვითარების ასიგნება (02 04) გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და განისაზღრა 1254.9 ათასი ლარის ოდენობით (მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ28.28251138, 23.04.2025 წ.).

2.თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (ტრანსფერი გაიზარდა 34.6 ათასი ლარით) განისაზღვრა 33527.2 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 33527.2ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ასიგნება (პოგრამული კოდი 02 01) გაიზარდა 34.6 ათასი ლარით და განისაზღვრა 7914.6 ათასი ლარის ოდენობით (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ28.282512113, 01.05.2025 წ.).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამას" ემატება მოსარგებლეთა კატეგორია კერძოდ ამ პროგრამით ისარგებლებენ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტირერებული მოქალაქეები, რომლებსაც შეუსრულდათ 100 ან მეტი წელი. კერძოდ გაეწევათ დაბადების დღესთან დაკავშირებით 1000 ლარის ფინანსური დახმარება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.29251272. 07/05/2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამით მოსარეგებლეთა კატეგორიიას წარმოსადგენ დოკუმენტაციაში არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში რეგისტრაციის ბარათის ნაცვლად, არსებობის შემთხვევაში, შეეძლებათ პირადობის დამადასტურებელი ბარათით სარგებლობა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № 29.29251273, 07/05/2025 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №- 29. 292501511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი -

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშიანი შემდეგი ოჯახები:

1) ოჯახები რომეთაც ჰყავთ 4 ან მეტი ბავშვი;
2) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;
3) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები;
4) ობოლი ბავშვები;
5) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;
6) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები.

აღნიშნული კრიტერიუმი საჭიროებს ცვლილებას შემდეგი გარემოების გამო:

მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით, მომართა ოჯახებმა, რომელთა შშმ ასევე ობოლი შვილებიც არიან 18 წელს მიღწეულები, ისინი ვერ აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს. ხოლო ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის მიერ დადგენილია, რომ აღნიშნული ოჯახები იმყოფებიან მძიმე სოციალურ პირობებში და მხარდაჭერის მიზნით საჭიროებენ ტექნიკის შეძენას. შესაბამისად ჩვენს მიერ წარმოდგენილი ცვლილებებით შესაძლებელი გახდება პროგრამით ისარგებლონ ოჯახებმა, რომელთაც ჰყავთ შშმ ან/და ობოლი შვილი/შვილები (0-18 წლის ჩათვლით).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №- 29. 292501511 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.29251274, 07/05/2025).

7.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს (ს/კ231949381) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა (ს.კ.33.09.36.202) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს (ს/კ231949381) განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.2925127002, 07/05/2025 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

კანონმდებლობის შესაბამისად, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მთავარი პირობაა რეისი იწყებოდეს და მთავრდებოდეს ავტოსადგურში. ასევე მუნიციპალიტეტი თვითონ განსაზღვრავს მის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტულ ადგილას კონკრეტული ავტოსადგურის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხს.

რაც ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა ავტოსადგურის სერტიფიცირებისთვის. (აღნიშნულის განსაზღვრა მოხდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა (დადგენილება №8, 07/05/2025 წ.).

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - როგორც მოგეხსენებათ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საბავშვო ბაგა-ბაღი იმყოფებიან ავტორიზაციის მოსამზადებელ ეტაპზე.

2025 წლის მარტის თვიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის 6 საბავშვო ბაგა-ბაღი ექვემდებარება ავტორიზაციას.

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის დადგენილება №76 დანართი №2-ით განისაზღვრა ავტორიზაციის ოთხი სტანდარტი, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მიზნით, საჭიროებისამებრ, განსაზღვროს აღნიშნული უფლებამოსილების მათ შორის განაწილების საკითხი.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპაიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 აპრილის „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" №27 დადგენილება და დამტკიცებული იქნას „თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებლი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ დადგენილება, რომელიც ეფუძნება საქართველოს მტავრობის 2023 წლის 21თებერვლის №76დადგენილებას.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი(დადგენილება №9 07/05/2025 წ.).

10.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლისათვის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № 29.29251275, 07/05/2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით გოგბერაშვილმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
დავით გოგბერაშვილი